

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), დათუნა მოდებაძე, ციციხო ცხვედიანი, მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ტარიელ კაკაბაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) მარი ზურაბაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარი ზურაბაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) მანანა ჭურაძის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ

აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მანანა ჭურაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(გ) **მარიამ რაზმაძის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ რაზმაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

(დ) **გიორგი ღვინიაშვილის** განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად, სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ

პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწვევრიანების თაობაზე ან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ღვინიაშვილის განცხადება გაწვევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ხელახალი გაწვევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) ირინა დანელიას და ლიანა გოგოლაძის მიერ ხელახალი გაწვევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირინა დანელიას და ლიანა გოგოლაძის მიერ ხელახლა გაწვევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) ფიქრია არდიას 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ორი წლის საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. ამჟამად, მის მიერ გადახდილი იყო 2018 წლის საწევრო დავალიანება, ითხოვდა გარკვეულ ვადას 2019 წლის საწევრო დავალიანების გადასახდელად და წევრობის აღდგენას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ფიქრია არდიას განცხადებას თან ერთვის 2018 წლის საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და საჭირო დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაში იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ფიქრია არდიას მიერ ხელახლა გაწვევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება და მის მიმართ არსებული 2019 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს 2020 წლის 1 მარტი.

(გ) მანანა ცარციძის 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადებას ხელახალი გაწვევრიანების შესახებ, რომელსაც თან ერთვოდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გაცემული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის ასლი (გაცემის თარიღი: 2019 წლის 23 დეკემბერი) და 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ორი წლის საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო შეუწყდა ასოციაციის წევრობა. მის მიერ წარმოდგენილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის საფუძველზე, იგი 2019 წლის საწევროზე სარგებლობდა აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 75% -იანი შეღავათით და შესაბამისად, წარმოდგენილი იყო 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; თუმცა მანანა ცარციძეს დარჩა 2018 წლის საწევრო დავალიანება 200 ლარის ოდენობით, რომელზეც ზემოთაღნიშნული 75%-იანი შეღავათი ვერ გავრცელდებოდა 2019 წლის 23 დეკემბერს გაცემული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერის საფუძველზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საშეღავათო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ, შეღავათი ვრცელდება წევრის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. მანანა ცარციძეს მიეწოდოს ინფორმაცია, რომ თუ მის მიერ წარმოდგენილი იქნება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი 2018 წლის მდგომარეობით, იგი ისარგებლებს შესაბამისი შეღავათით 2018 წლის საწევრო დავალიანებაზე. აქედან გამომდინარე, მანანა ცარციძის განცხადების განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის, მის მიერ 2018 წლის საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს მანანა ცარციძის განცხადების განხილვა მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. მანანა ცარციძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს (ნინო აბრამიშვილი, სოფო ტაკიძე, თეონა სანიკიძე, მარიამ გელაშვილი, თეკლა კუხიანიძე, ჯემილა დეკანაძე, ირაკლი ჩიკაშუა, ლალი ქველიძე, არჩილ ხარაზი, გიორგი ცისკაძე, ვალერი ლაცუზბაია, ია მესხი, კახაბერ აბაშიძე, ქეთევან ხატიაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, გიორგი გორაშვილი, ნინო ჭოხონელიძე, ნინო ჯალალონია, თინათინ გაგნიძე, ნინო ასლანიშვილი) არ გააჩნიათ საწევრო დავალიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო აბრამიშვილის, სოფო ტაკიძის, თეონა სანიკიძის, მარიამ გელაშვილის, თეკლა კუხიანიძის, ჯემილა დეკანაძის, ირაკლი ჩიკაშუას, ლალი ქველიძის, არჩილ ხარაზის, გიორგი ცისკაძის, ვალერი ლაცუზბაიას, ია მესხის, კახაბერ აბაშიძის, ქეთევან ხატიაშვილის, ირაკლი ბერიშვილის, გიორგი გორაშვილის, ნინო ჭოხონელიძის, ნინო ჯალალონიას, თინათინ გაგნიძის, ნინო ასლანიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ივანე ლომიძის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ ივანე ლომიძის 2019 წლის 18 დეკემბრის განცხადებას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები სარგებლობენ საწევრო შეღავათებით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ივანე ლომიძე ამჟამად მოქმედი საწევრო შეღავათების წესების შესაბამისად, ექვემდებარებოდა 50%-იანი საშეღავათო საწევრო სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმს.

საკითხი ივანე ლომიძის საწევრო დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე დადგა ღია კენჭისყრაზე და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ივანე ლომიძის 2019 წლის 18 დეკემბრის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 23 დეკემბრამდე საწევრო გადაუხდელობის პირთა მიმართ, 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გავრცელება და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 23 დეკემბრამდე საწევრო გადაუხდელო პირთა რაოდენობამ დღევანდელი მდგომარეობით შეადგინა - 54 ადვოკატი.

თავმჯდომარემ განცხადა, რომ წლის ბოლოსა და მოახლოებული დასვენების დღეების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, საწევრო დავალიანების მქონე წევრებს კიდევ ერთხელ მიეცეთ დამატებითი ვადა მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების გადასახდელად. მისი წინადადებაა, აღნიშნული წევრებისთვის დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2020 წლის 1 მარტი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, 2019 წლის 23 დეკემბრამდე საწევრო გადაუხდელო პირებისთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2020 წლის 1 მარტი.

(ბ) წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს 2.12.2019 წლის გადაწყვეტილებით 2019 წლის 23 დეკემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 02.07.2019 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა;

(გ) აღნიშნულ პირებს ეცნობოთ მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ ვადაში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე.

საკითხი 6. ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის ანგარიშის წარდგენა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

აღმასრულებელი მდივანმა წევრებს წარუდგინა ანგარიში ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ (დანართი 1).

წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ ანგარიშს, რომელიც მოწონებულ იქნა სხდომაზე წარმოდგენილ წევრთა სრული უმრავლესობის მიერ.

საკითხი 7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 17.04.2018 წლის გიორგი ონიანის მიმართ დამდგარი განაჩენის ცნობად მიღების საკითხი, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის თანახმად, წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

წევრები გაეცნენ თბილისის პროკურატურის 2019 წლის 18 დეკემბრის მომართვას, ადვოკატ გიორგი ონიანის (სიითი 6016) მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ 2018 წლის 17 აპრილს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე. აღნიშნული განაჩენის მიხედვით, გიორგი ონიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ცნობად იღებს ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობას.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის, 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 აპრილს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, გიორგი ონიანს (სიითი N 6016) შეუწყდეს ასოციაციის წევრობა და დაევალოს ასოციაციის აპარატს მისი მოქმედ ადვოკატთა ერთიანი სიიდან ამოღება.

საკითხი 8. ქეთევან ჩხიკვაძის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბრის განაჩენის გაცნობა.

წევრები გაეცნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 დეკემბერს ქეთევან ჩხიკვაძის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ქეთევან ჩხიკვაძე (სიითი N4995) ასოციაციის წევრად ირიცხებოდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 2010 წლიდან 2014 წლის 5 დეკემბრამდე.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, 2014 წლის 9 დეკემბრიდან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, 1 -ლი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. შესაბამისად, ქეთევან ჩხიკვაძე დღევანდელი მდგომარეობით არ ირიცხებოდა ასოციაციის წევრთა ერთიან, მოქმედ სიაში.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან ქეთევან ჩხიკვაძე არ იყო მოქმედი სტატუსის მქონე წევრი, მასზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, მე-2 პუნქტით დადგენილი წესი ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მისთვის წევრობის შეწყვეტის შესახებ; თუმცა მიზანშეწონილია, ინფორმაციის დაფიქსირების მიზნით, ასოციაციის წევრთა მონაცემთა ბაზაში გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი.

საკითხი 9. მარიამ გოცირიძის განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მარიამ გოცირიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2006 წლის 28 ნოემბერს ჩაბარებული ჰქონდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2005 წლის ნოემბრიდან 2010 წლის სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში და იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე. კერძოდ, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი იყო:

1. 2009 წლის 23 აპრილის საქართველოს მთავარი პროკურორის #31 ბრძანების ასლი, რომლის თანახმად, მარიამ გოცირიძე გათავისუფლდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ადამიანის უფლებთა დაცვის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 01 სექტემბრის #99 ბრძანების ასლი, რომლის თანახმად მარიამ გოცირიძე დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის არბიტრაჟებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის სამმართველოს მრჩევლის თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად.

განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 2009 წლის აპრილიდან 2010 წლის სექტემბრამდე მდგომარეობით, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროკურატურის სამმართველოს უფროსის თანამდებობა უთანაბრდებოდა პროკურორის თანამდებობას და აღნიშნულზე დაყდნობით, განმცხადებელი ითხოვდა სერტიფიკატის აღიარებას და ნებართვას, რომ თანდართული სერტიფიკატის და შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე დარეგისტრირებულიყო ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ, მომავალში ასოციაციაში გაწევრიანების მიზნით.

წევრებმა განაცხადეს, რომ მარიამ გოცირიძის განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას შემდეგი გარემოებების გამო:

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 23 აპრილის საქართველოს მთავარი პროკურორის #31 ბრძანების ასლის თანახმად, მის მიერ დაკავებული საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მრჩევლის თანამდებობა არ უთანაბრდებოდა პროკურორის თანამდებობას, რადგან 2009 წლის 27 თებერვლიდან 2010 წლის 3 მარტამდე და 2010 წლის 9 მარტიდან 2010 წლის 24 სექტემბრამდე მოქმედი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-2 მუხლის, „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „პროკურატურის მრჩეველი არის პირი, რომელიც ინიშნება პროკურატურის იმ დეპარტამენტის, სამმართველოს, განყოფილების ან მათთან გათანაბრებული სტრუქტურული დანაყოფის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, რომლის

ფუნქცია არ არის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება და, რომელიც არ განეკუთვნება პროკურატურის დამხმარე მოსამსახურისა და შტატგარეშე მოსამსახურის კატეგორიას“.

2. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილია, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ამასთან, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტი მიხედვით პირისათვის ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია თუ შესაბამისი გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად.

აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, მარიამ გოცირიძის მიერ წარმოდგენილი 2006 წლის 28 ნოემბერს ჩაბარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის დამადასტურებელი სერტიფიკატი არ არის ვალიდური.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მარიამ გოცირიძის 2019 წლის 20 დეკემბრის განცხადება, თანდართული 2006 წლის 28 ნოემბერს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილედ დარეგისტრირების თაობაზე.

საკითხი 10. ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის პოზიციაზე კანდიდატურების განხილვის თაობაზე.

წევრები გაეცნენ ადვოკატის უფლებების დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის 2019 წლის 12 დეკემბრის სხდომის ოქმს, რომლის თანახმად აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე რეკომენდირებული იყო ნუგზარ სამარჯიშვილის, ხოლო თანათავმჯდომარის პოზიციაზე - ეკატერინე აბაშიძის კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატის უფლებების დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის დებულების 4.2 პუნქტის თანახმად, ადვოკატის უფლებების დაცვის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული კომიტეტის თავმჯდომარის პოზიციაზე დამტკიცდეს ნუგზარ სამარჯიშვილი, ხოლო თანათავმჯდომარის პოზიციაზე - ეკატერინე აბაშიძე.

საკითხი 11. ადვოკატ ნინო ელოშვილის განცხადების გაცნობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე.

წევრები გაეცნენ ნინო ელოშვილის 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო ელოშვილი იყო ასოციაციის ინტელექტუალური სამართლის კომიტეტის წევრი და პროფესიული პრაქტიკის გათვალისწინებით, მისი სურვილი იყო ასოციაციის შრომის კომიტეტში გაწვევრიანება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ელოშვილის 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწვევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტის თანახმად დამტკიცებულ იქნას ნინო ელოშვილის კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 12. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ ადვოკატ მამუკა ჟივიძის 2019 წლის 16 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ მისთვის გვიან გახდა ცნობილი ინფორმაცია მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრისთვის საწევრო გადასახადზე დადგენილი შეღავათის არსებობის თაობაზე; იგი ითხოვდა გასულ პერიოდში მის მიერ ყოველწლიურად გადახდილ საწევრო გადასახადზე აღნიშნული შეღავათის გავრცელებას და შესაბამისად, გადახდილი საწევროების ჩათვლას წინსწრებით გადახდილად.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად საშეღავათო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ, შეღავათი ვრცელდება წევრის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე. მამუკა ჟივიძემ ასოციაციას მომართა 2019 წლის 16 დეკემბერს და წარმოადგინა 4 არასრულწლოვანი შვილის დაბადების მოწმობების ასლები, რომლის თანახმად, როგორც მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრზე, განაცხადის და დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან ვრცელდებოდა შესაბამისი საშეღავათო საწევრო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ადვოკატ მამუკა ჟივიძის 2019 წლის 16 დეკემბრის განცხადება, მის მიერ ყოველწლიურად გადახდილ საწევრო გადასახადზე მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე წევრისთვის დადგენილი შეღავათის გავრცელების და მის მიერ ყოველწლიურად გადახდილი საწევროების წინსწრებით გადახდილად ჩათვლის შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე